ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01190353770**
თარიღი: **04/02/2019**
პინი: **5560**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 25 იანვრის #60-01190254148 წერილი (AR1656340), რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქ. #1 (ს.კ.: 01.14.03.038.050) (საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1) შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ და შპს“ ავტო ვოშ“-ის სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე, II კლასის, ავტომაღაზიისა და ავტობოქსების განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ასაშენებელი შენობისა და გამწვანების პროექტის ვიზუალურად გამოსახული ესკიზი მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით, რომელიც უნდა დაიტანოს წარმოდგენილი გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფის ესკიზზე.

ასევე, წარმოსადგენია დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფის ესკიზი, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- კ-3 ფართობს;
- გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათებას-ხნოვანებას, გარშემოწერილობას, სიმაღლეს);
- გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღის გრაფას (გრაფა ივსება მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ);
- პროექტის დასრულების თარიღს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას (არანაკლებ 3 წელი);

საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი დატანილი უნდა იყოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი